პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
შაბათი
20 სექტემბერი
№ 217 (17860)
ფასი 2 კაპ.

ყრილობისწინა ზრომეთი მაჯისცემა

ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, არ დავტოვოთ მოუკრეფავი არცერთი კილოგრამი ხილი, 460 ათასი ტონა ხილისათვის ბრძოლა ჩვენი დიდი საჯარუნაკვია!

ქეხილეებო, მხარი ავუბათ მეჩაიეებს, მევენახეებს!..

ბარულაც ოქროს შემოდგომა დაბიჯებს საქართველოში. შავიზღვისპირეთში დიდი და პატარა მწვანედ ახავერდებულ პლანტაციებშია გასული ნახევარმილიონიანი მიჯნის დასალაშქრავად; კახეთში გულუხვ და ბარაქიან ზვრებში ყურძნის საკრეფად ქუდზე კაცი გამოსულა, ეშურებიან, რომ რთველი მოკლე დროში დაამთავრონ; იალაღებიდან ცხვარ-ძროხას ზამთრის საძოვრებზე გადასარეკად ამზადებენ; ზოგან სიმინდსა და სხვა ჭირნახულს აბინავებენ; ქართლის ბაღებში კი ვაშლი და მსხალი, კომში და სხვა ხილი თანდათან მწიფდება და საკრეფად უხმობს მეხილეებს...

მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გულუხვი შემოდგომის ეს არასრული სურათიც კი, მშრომელი კაცის გარჯითა და ქაფა-გონებით რომ იხატება, მნახველს დიდ სიამოვნებას განაცდევინებს და გულს ჭირს გადაჰყრის, რადგან ყველამ იცის, როცა სოფელი ღონიერია, ქალაქიც ძლიერია. მეჩაიეებმა ამას წინათ დიდი გამარჯვება იზეიმეს და სახუთწლედო ნახევარმილიონიანი მიჯნის დალაშქვრა მტკიცედ გადაწყვიტეს და სიტყვას პირნათლად ასრულებენ; მევენახეებმა დიდი ვალდებულებების შესრულება ითავეს და ყოველდღიურად საქმით ადასტურებენ, რომ პარტიასა და სახელმწიფოს რაც აღუთქვეს, უთუოდ შეასრულებენ!

ჯერი ახლა მეხილეებზე მიდგა. მართალია, წელს გაზაფხულზე უამინდობამ საკმაოდ დააზიანა კურკოვანი ხილის ბაღები, მაგრამ, სადაც იმარჯვეს, საზრიანობა გამოიჩინეს, მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება გამოიყენეს, იქ კარგი მოსავალი მიიღეს. ცხაკაიას, გეგეჭკორის, ხობის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, სამტრედიის, წალენჯიხის რაიონების მეხილეებმა კურკოვანი ხილის დამზადების გეგმები გადამეტებით გაანაღდეს.

მახარაძის, ლანჩხუთისა თუ ჩოხატაურის რაიონებიდან შორს არ არის აჭარა. ავტონომიური რესპუბლიკის ბარის სოფლებში ამინდი გაზაფხულზე თუ ზაფხულში დიდად არ განსხვავდებოდა გურიის სოფლების ამინდისაგან, მაგრამ აქაური მეხილეებს საკვეხნად როდი აქვთ საქმე. საერთოდ, ხილის დამზადების წლიური გეგმის შესრულება, რომელიც 15.000 ტონას ითვალისწინებს, აჭარაში არცთუ ისე სახარბიელია — გეგმა 18 პროცენტით არის შესრულებული. აქ კურკოვანი ხილი წელს 1.500 ტონა უნდა დამზადდეს; სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით კი, ჯერჯერობით 467 ტონის დამზადება შეძლეს.

მეჩაიეთა, მევინდვრეთა, მევენახეთა საყრილობო შემართება მხარდასაჭერი და მისაბაძია! მაგრამ, სამწუხაროდ, მეხილეობის ყამეულ რაიონებში არ იგრძნობა ასეთი დაძაბულობა, თავშადებული ბრძოლა გეგმის უთუოდ შესრულებისათვის. ამის მაგალითია დღეკანდელი „კომუნისტის“ მიმოხილ ბვერდზე დაბეჭდილი კრიტიკული კორესპონდენცია, რომელშიც მოყვანილია გულგრილობისა და დაუდევრობის ალმაშფოთებელი ფაქტები, რომლებსაც ქარელისა და კასპის რაიონებში ვხვდებთ.

ხილის წარმოებისა და დამზადების საქმეში არასახარბიელო მდგომარეობაა მეხილეობის ერთ-ერთ წამყვან რეგიონში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. უკანასკნელი ცნობებით, აქ ხილის დამზადების გეგმა 12 პროცენტით არის შესრულებული, 25.000 ტონიდან მხოლოდ 2.935 ტონაა დამზადებული. 4.500 ტონიდან მხოლოდ 1.661 ტონა კურკოვანი ხილი დამზადდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ კურკოვანებს უამინდობის დროს სათანადო ყურადღება ვერ მიაქციეს, ვერ გამოიყენეს ხეხილის მოვლა-პატრონობის თანამედროვე აგროწესები, მოწინავეთა გამოცდილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ საკავშირო ფონდში ხილის გაგზავნის საქმეს. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკების ინტერნაციონალური ვალია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტით ჯეროვნად ამარაგებდნენ საბჭოთის მშრომელებს. საქართველო საკავშირო ფონდიდან ბევრ დეფიციტურ საქონელს იღებს. ამიტომ ჩვენი საპატიო ვალია დროულად ვავსებდეთ საკავშირო ფონდს სამხრეთული კულტურების ნაყოფით და ჩვენი წვლილი შეგვეტანოს ქვეყნის სასურსათო პროგრამაში. ამ მხრივ ჯერჯერობით სათქმელი დიდი ვერაფერი აქვთ ჩვენს მეხილეებს. როგორც ვიცით, წელს 460.000 ტონა ხილი უნდა დამზადდეს ჩვენს რესპუბლიკაში. აქედან მხოლოდ 60 ათასი ტონის გაგზავნა გვევალება საკავშირო ფონდში. 16 სექტემბრისათვის გაგზავნილი იყო მხოლოდ 11.740 ტონა. ზოგან გეგმის შეუსრულებლობას რკინიგზის ტრანსპორტს ამბალებენ და ეს იმ დროს, როცა ვაგონები გამოყოფილია, მაგრამ ჩასატვირთი ხილი არ არის. ამ საქმეში ჩამორჩნენ ქ. წყალტუბოს ზონის, გარდაბნის, მაიაკოვსკის, საჩხერის, ორჯონიკიძის და სხვა რაიონები. ახლა ამოცანა ის არის, რომ კურკოვანთა დანაკლისი თესლოვანი ხილით დავფაროთ და საკავშირო ფონდში გასაგზავნი ხილის დამზადების გეგმა უთუოდ შევასრულოთ.

ბულუხვი შემოდგომაა ქართლის ბაღებში, ხილი მწიფს და მპარფავს უხმოდ. მეხილეობის დედაქალაქად ბორის რაიონია აღიარებული. სწორედ მისი, აგრეთვე ქარელის, ცხინვალის, კასპის და ყველა სხვა რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საპატიო ამოცანაა დარაზმონ მეხილეები, რათა უდანაკარგოდ და დროულად მოკრიფონ ხილი, მხარი აუბან მეჩაიეებსა და მევენახეებს, შეეძლოთ დაძაბული შრომის ატმოსფერო, განაწყონ მშრომელები იმისათვის, რომ 460.000 ტონა ხილის დამზადების გეგმა უთუოდ შეასრულონ და ამით საპატიო შრომითი საჩუქარი მოუმზადონ სკკა XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას!

ყურძნის სიყვარულით...

კახეთი, უპირველესად, ვენახებით არის განთქმული. ჩვენი სიმდიდრის წყარო მართლაც ზვარ-მარანია, და ამიტომაც თელავში გამართულ რესპუბლიკის მევენახეთა შეკრებაზე ჩვენი რაიონის ცენტრს მევენახეობის საპატიო ქალაქი უწოდეს. კახეთის მევენახეები წელს 560 ათასი ტონა ყურძნის დამზადებისათვის იბრძვიან და მალე სიტყვა საქმედ იქცევა. ეს კარგია, მაგრამ საწყენი ის არის, რომ ყურძნის სიყვარულით მგონი ხილის ბაღები დავივიწყეთ.

კახეთის სხვადასხვა რაიონში მიხდება ხოლმე, ყოფნა. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას საკმაო ფართობზე აქვს გაშენებული ხეხილის ბაღები, მაგრამ მას კარგი მებაღის ხელი აკლია.

გარდა ამისა დიდი შეცდომები მოსდით თვით ხილის კრეფის დროს. კურკოვანი ხილის მწიფობისას ბაღში რომ შეხვიდეთ, კაცს გული ეტკინება, უამრავი ქლიავი, ჭერამი თუ ატამი ხის ქვეშ ყრია და ფუჭდება. ასევეა თესლოვანი ხილის ბაღებში.

სახოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს უნდა შევახსენოთ, რომ ხილი ყურძენზე ნაკლებშემოსავლიანი არ არის და საჭიროა ვენახთან ერთად ხეხილის ბაღებსაც დიდი ყურადღება მიეაქციოთ. ახლა, როცა რესპუბლიკაში უამინდობის გამო ხილის დამზადების გეგმის შესრულება ჭირს, მინდა ჩემს თანამოსაქმეებს, სპეციალისტებს, ხელმძღვანელებს, სოფლის მშრომელებს ვუთხრა, რომ ბაღში არ დატოვონ არც ერთი კილოგრამი ხილი. იცოდნენ, რომ ხილს თავისი ადგილი აქვს, ყურძენს კი თავისი.

მ. მექვეზრიშვილი,
გურჯაანის რაიონის ვ.ლენინის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

ფურცლები ბიოგრაფიიდან

პოლკოვნიკი იური ვიქტორის ძე რომანენკო

საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი იური ვიქტორის ძე რომანენკო დაიბადა 1944 წლის 1 აგვისტოს ორენბურგის ოლქის ბუზულუკის რაიონის დაბა კოლტუბანოვსკში.

1966 წლის მან დაამთავრა ჩერნიგოვის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებელი. შემდეგ მფრინავ-ინსტრუქტორად მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალებში.

ი. ვ. რომანენკო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1965 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში იური ვიქტორის ძე რომანენკო 1970 წლიდან ირიცხება.

თავისი 96 დღე-ღამის ხანგრძლივობის პირველი კოსმოსური ფრენა ი. ვ. რომანენკომ 1977-1978 წლებში შეასრულა, როგორც „სოიუზ-26“ ხომალდისა და „სალუტ-6“ ორბიტული სადგურის მეთაურმა.

ამჟამად იური ვიქტორის ძე დაუსწრებლად სწავლობს ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიაში.

კუბის რესპუბლიკის მოქალაქე არნალდო ტამაიო მენდესი დაიბადა 1942 წლის 29 იანვარს ქალაქ გუანტანამოში მუშის ოჯახში.

სკოლაში სწავლასთან ერთად არნალდო მუშაობდა. კუბის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი სწავლობდა საავიაციო სასწავლებელში, რომლის დამთავრების მერე მსახურობდა კუბის რესპუბლიკის რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებში. აქვს პირველი კლასის სამხედრო მფრინავის კვალიფიკაცია.

არნალდო ტამაიო მენდესი კუბის კომუნისტური პარტიის წევრია 1967 წლიდან.

1978 წლის მარტში მან დაიწყო მზადება „ინტერკოსმოსის“ პროგრამით გათვალისწინებული ფრენისათვის ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრში. გაიარა სწავლების სრული კურსი „სოიუზ“ პილოტირებული ხომალდისა და „სალუტ“ ორბიტული სადგურის პროგრამის მიხედვით.

პოდპოლკოვნიკი არნალდო ტამაიო მენდესი

„სოიუზ-38“ ხომალდის მეთაურის განცხადება სტარტის წინ

ძვირფასნო ამხანაგებო და მეგობრებო!

დღეს „სოიუზ-38“ ხომალდით კოსმოსში მფრინავენ ორი მომმე ქვეყნის—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და კუბის რესპუბლიკის მოქალაქენი.

წილად მხვდა დიდი პატივი ვიყო მეთაური მეშვიდე საერთაშორისო ეკიპაჟისა, რომლის ამოცანაა იმ ერთობლივი კვლევისა და ექსპერიმენტების განგრძობა, რომლებსაც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კოსმონავტები „ინტერკოსმოსის“ პროგრამის შესაბამისად ასრულებენ საბჭოთა კოსმოსური ხომალდებითა და ორბიტული სადგურებით.

ეს ერთობლივი ფრენა გამოხატავს ჩვენი ქვეყნების ნაყოფიერ თანამშრომლობას და საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ხალხთა გულწრფელ მეგობრობას.

„სოიუზ—38“ ხომალდის ეკიპაჟის სახელით მოგახსენებთ: კოსმოსური ფრენისათვის მზად ვართ, მთელ ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმართ ამ საპატიო და პასუხსაგები დავალების შესრულებას.

„სოიუზ-38“ ხომალდის მეთაური, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი იური რომანენკო.

„სოიუზ-38“ ხომალდის კოსმონავტი მკვლევარის განცხადება სტარტის წინ

ძვირფასნო ამხანაგებო და მეგობრებო!

მე, კუბის რესპუბლიკის მოქალაქეს, კუბის კომუნისტური პარტიის წევრს, წილად მხვდა დიდი პატივი ვიფრენო საერთაშორისო ეკიპაჟის შემადგენლობაში საბჭოთა „სოიუზ-38“ კოსმოსური ხომალდითა და „სალუტ-6“ ორბიტული სადგურით.

ვამაყობ, რომ ჩემი სამშობლო სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს კოსმოსურ კვლევაში „ინტერკოსმოსის“ პროგრამით მშვიდობის ინტერესებისა და კაცობრიობის კეთილდღეობისათვის.

ჩემს ფრენას ეუძღვნი კუბის კომუნისტური პარტიის მეორე ყრილობას, თავისუფლებისმოყვარე კუბელ ხალხს, რომელმაც 21 წლის წინათ რევოლუცია მოახდინა.

ნება მიბოძეთ, უგულწრფელესი მადლობა გადავუხადო კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და კუბის რესპუბლიკის მთავრობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას დიდი ნდობისათვის.

მოგახსენებთ: „სოიუზ-38“ კოსმოსური ხომალდით საერთაშორისო ეკიპაჟის შემადგენლობაში ფრენისათვის მზად ვარ, ძალ-ღონესა და ცოდნას არ დავიშურებ, რათა ღირსეულად შევასრულო დაკისრებული საპატიო დავალება.

„სოიუზ-38“ ხომალდის კოსმონავტი-მკვლევარი, კუბის, რესპუბლიკის მოქალაქე არნალდო ტამაიო მენდესი.

საკლესიო ცნობა

კოსმოსშია საერთაშორისო ეკიპაჟი

1980 წლის 18 სექტემბერს მოსკოვის დროით 22 საათსა და 11 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-38“.

კოსმოსურ ხომალდს პილოტობს საერთაშორისო ეკიპაჟი: ხომალდის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი იური რომანენკო და კოსმონავტი მკვლევარი, კუბის რესპუბლიკის მოქალაქე არნალდო ტამაიო მენდესი.

„სოიუზ-38“ ხომალდის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია „სალუტ-6“ — „სოიუზ-37“ ორბიტულ კომპლექსთან შეერთება და მეცნიერული კვლევისა და ექსპერიმენტების შესრულება კოსმონავტებთან პოპოვთან და რიუმინთან ერთად, რომლებიც დედამიწისირგვლივ ორბიტაზე 1980 წლის 9 აპრილიდან მუშაობენ.

„სოიუზ-38“ ხომალდი გაუშვეს „ინტერკოსმოსის“ პროგრამაზე შესაბამისად. 1978 წლიდან საბჭოთა-ჩეხოსლოვაკიური-საბჭოთა-თანამშრომლობის შემადგენლობაში საბჭოთა კოსმონავტებთან ერთად კოსმოსურ სივრცეში გამოკვლევები განახორციელეს ექვსი სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენლებმა.

საბჭოთა და კუბელი კოსმონავტების შემადგენლობით მეშვიდე საერთაშორისო ეკიპაჟის ფრენა საბჭოთა კავშირისა და კუბის ხალხთა მეგობრობის, ორი მოძმე ქვეყნის მჭიდრო ურთიერთმოქმედების ახალი დადასტურებაა.

„ინტერკოსმოსის“ პროგრამის მიხედვით კოსმოსურ კვლევაში პირველად მონაწილეობს დასავლეთ ნახევარსფეროს სოციალისტური ქვეყნის — კუბის რესპუბლიკის წარმომადგენელი.

კოსმონავტები რომანენკო და ტამაიო მენდესი თავს კარგად გრძნობენ, „სოიუზ-38“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ეკიპაჟმა დაიწყო დაგეგმილი პროგრამის შესრულება. (საკდესი).

ემზადებიან შეპირაპირებისათვის

ფრენის მართვის ცენტრი, 19 სექტემბერი. (საკდესი). „სოიუზ-38“ კოსმოსურმა ხომალდმა, რომელსაც საერთაშორისო ეკიპაჟი პილოტობს, მოსკოვის დროით 13 საათისათვის ათჯერ შემოუფრინა დედამიწას. კოსმონავტებმა იური რომანენკომ და არნალდო ტამაიო მენდესმა შეასრულეს ხომალდის საბორტო სისტემების კონტროლის დაგეგმილი ოპერაციები, მოახდინეს „სალუტ-6“— „სოიუზ-37“ ორბიტულ კომპლექსთან შორეული მიახლოების პირველი ორიმპულსიანი მანევრი. ფრენის ტრაექტორიის კორექციის შემდეგ „სოიუზ-38“ ხომალდის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 320 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 278 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 90,2 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი „სალუტ-6“ — „სოიუზ-37“ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში ემზადებიან „სოიუზ-38“ ხომალდთან მომავალი შეპირაპირებისათვის.

კოსმონავტები ამხანაგები პოპოვი, რიუმინი, რომანენკო და ტამაიო მენდესი თავს კარგად გრძნობენ.

დავალება შესრულდება!

მახარაძის რაიონის

მშრომელთა ვალდებულებები

მახარაძის რაიონის მშრომელები ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით, ერთსულოვანი დარაზმულობით ემზადებიან სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის.

მახარაძის მაღაროთასამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა და კონჭკათის კოლმეურნეობის მშრომელთა დევიზია „სკკპ XXVI ყრილობას — 26 დამკვრელური კვირა!“ ამ მოწოდების საფუძველზე რაიონში 25 აგვისტოდან დაწესდა დამკვრელური შრომისა და სანიმუშო ყოფის 26-კვირიანი საბრძოლო ვახტი. მაღაროთასამმართველოს კოლექტივმა იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულებანი — მეათე ხუთწლედის დავალებანი ყველა სახეობის მიხედვით შეასრულოს ვადამდე, 25 სექტემბრისათვის და წლის ბოლომდე დარჩენილ დროში ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 1.700 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია, 4 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, ნედლეულის, მასალების და ენერგეტიკული რესურსების მომჭირნედ ხარჯვის შედეგად მიაღწიოს თვითღირებულების შემცირებას 2,5 პროცენტით და ამის შედეგად მიიღოს 60 ათას მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება. დიდი ოქტომბრის დღესასწაულის — 7 ნოემბრისათვის მაღაროთასამართველოს კიდევ ერთი პროდუქცია მიიღებს სახელმწიფო ხარისხის ნიშანს, რითაც ფაქტობრივად შესრულდება მაღაროელთა ინიციატივა: „მეათე ხუთწლედის ბოლოს ყველა ძირითად პროდუქციას — ხარისხის ნიშანი“!.

ბეჯითად შრომობენ რაიონის მრეწველობის სხვა კოლექტივებიც, რომლებმაც თვალსაჩინო მიღწევებით დაამთავრეს 1980 წლის პირველი ნახევარი. ჩაებნენ რა სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში რაიონის სამრეწველო საწარმოებმა ვადამდე — 16 ივნისისათვის უპატაკეს სამშობლოს ექვსი თვის დავალებათა შესრულება. საწარმოთა მუშაობის ტემპი კიდევ უფრო ძლიერდება. რაიონის მრეწველობის მუშაკთა ვალდებულებაა მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებანი შეასრულონ ვადამდე ერთი თვით ადრე — 1980 წლის 29 ნოემბრისათვის — რაიონის პარტიული ორგანიზაციის 33-ე კონფერენციის გახსნის დღისათვის.

სასახელოდ შრომობენ რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები. მოწინავეთა რიგებშია თაოსნობის — „სკკპ XXVI ყრილობას — 26 დამკვრელური კვირა!“ — ერთ-ერთი ინიციატორი, კონჭკათის კოლმეურნეობა, რომელმაც 29 აგვისტოსათვის შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური სოციალისტური ვალდებულება — 2.138 ტონის ნაცვლად მოკრიფა 2.180 ტონა ჩაის ფოთოლი, რომლის 74 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი ასევე ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს დვაბზუს, ჭანიეთის, ჯუმათის კოლმეურნეობებმა, ნარუჯისა და ლაითურის საბჭოთა მეურნეობებმა, ბევრმა რგოლმა, ბრიგადამ და აგროგანყოფილებამ.

რაიონის სახელოვანმა მეჩაიეებმა ყრილობის აღსანიშნავად იკისრეს ახალი, კიდევ უფრო გადიდებული სოციალისტური ვალდებულება — წელს სამშობლოს მისცენ 85 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 2 ათასი ტონით აღემატება ადრინდელ გეგმა-ვალდებულებას. ასევე გადიდებული ვალდებულებებია ნაკისრი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. მახარაძელები განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას ისახავენ მიზნად მეცხოველეობაში. ეს დარგი რაიონში უკანასკნელ ხანს მკვეთრი აღმავლობით აღინიშნება. რაიონის მშრომელები წელს დაამზადებენ 2.002 ტონა ხორცს, ასევე გადამეტებით შეასრულებენ რძის, კვერცხის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების გეგმებს. დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის საკვების დაგროვება. გეგმით გათვალისწინებული 5 ათასი ტონის ნაცვლად მახარაძელები რაიონის ტერიტორიაზე დაამზადებენ 10 ათას ტონა თივას.

მახარაძის რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი ამ დღეებში გულდასმით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა ალმა-ათაში ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. ერთსულოვნად იწონებენ და სამოქმედო პროგრამად იღებენ ამ სიტყვაში მოცემულ დასკვნებსა და დებულებებს, რაც კიდევ უფრო შინაარსიანსა და ცხოველმყოფელს ხდის საყრილობო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ ბრძოლას.

ვალდებულებები განხილული და მიღებულია მახარაძის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

ხუთწლედი ფინიშისაკენ მიდის. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს ჩვენი ქვეყნისადმი ალალ ბუჩქს, როგორც ჩაის ბუჩქს, ბევრი ეფერებიან. საერთოდ მიწაც და მცენარეც მაშინ გიფასებს ამაგს და გაძლევს მოსავალს, როდესაც თავად მას დაიფასებ და ამაგს დასდებ.

ბევრი მეხილეები დღენიადაგ ბაღებს ვუვლიან. თითოეულ ძირს ყოველთვის იმას ვაძლევთ, რაც სჭირდება ამა თუ იმ დროს. აქ მარტო მეურნე კაცის გამოცდილება არ ეკმარა, სათანადო მეცნიერების აზრიც გასათვალისწინებელია, ამიტომ არის რომ წლითიწლობით იზრდება ქართლში ხილის მოსავლიანობა. აი, ბაღების ბარაქა

ლსაც თურმე ისეთივე რუდუნებით სჭირდება მოვლა, როგორც ჩაის ბუჩქს, როგორც ყველა სხვა ბუჩქს. საერთოდ, ბევრ ადგილას ბაღებს ბევრ ადგილას ბაღებს ბევრ ადგილას ბაღებს

XXVI სკკპ ყრილობის უკანასკნელი

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ოქტომბრის ჯუნგრეზე

საერთაშორისო ცხოვრება

საკავშირო სოციალისტური კულტურა

საქართველოს ეკონომიკა

ახალი ამბები

საბჭოთა ადამიანი

ინფორმაციული ბიულეტენი

№ 243 (8243)

ორშაბათი, 20 სექტემბერი, 1980 წ.

ფასი 2 კაპ.

საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, ეროვნული ოლქების, ავტონომიური ოლქების, ეროვნული ოლქების, ავტონომიური ოლქების, ეროვნული ოლქ

ანანური..

ზ. დათუაშვილის ფოტო.

ფერილი რედაქციას

მლვიმეების ახალი სიცოცხლე

გუნების ძეგლების შესწავლას, მათს მოვლა-პატრონობას, ათვისებასა და ხალხის სამსახურში ჩაყენებას, ახლა განსაკუთრებული უურადღება ეთმობა.

ბუნების ძეგლთა შორის კი მღვიმეებს ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია. ჩვენი რესპუბლიკა ამ მხრივაც უხვად არის დაჯილდოებული.

განსაკუთრებით გამორჩევა მღვიმეებით აფხაზეთის მთიანეთი. ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი განშტოებანი, რომლებიც აფხაზეთის სანაპიროსაკენ ეშვება, კირქვული წარმოშობის გამო მრავალ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მღვიმეს შეიცავს. მთის მდინარეების, გრუნტის წყლების და ატმოსფერულ-ტექტონიკური მოვლენების ზემოქმედებამ მრავალი ასეული საუკუნის მანძილზე ჯადოსნური სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით შემკული ზღაპრულნ მიწისქვეშა დარბაზები, დერეფანთა ლაბირინთები, მინიატიურული ტბები შექმნა.

სპეციალისტთა დასკვნით, აფხაზეთში მღვიმეთა შემცველი 23 მთიანი მასივია. მათ შორის აღსანიშნავია არაბიკის, ბზიფის, აჩიბალა-ლაკორხის, ფშეგიშხას, ახალი ათონის, წებელდის, გუმისთის, ფანავის მასივები.

ახალი ათონის მღვიმე ამ ხუთი წლის წინათ კეთილმოეწყო. პრაქტიკულად გადაწყდა ახლო მომავალში ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოტაპში „აბრსკილის“ უნიკალური მღვიმის კეთილმოწყობის დაწყება. პერსპექტიულია ამ მხრივ გეგას, შაქორანის და კელასურის მღვიმეთა კომპლექსები.

ამ დღეებში „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა პროფესორ ზ. ტინტილოზოვის სტატია, რომელშიც საკმაოდ ვრცლად არის საუბარი ჩვენი ბუნების მარგალიტებსა და მღვიმეების ათვისების საჭირბოროტო საკითხებზე.

მე არ შევუდგები ამ სტატიის დებულებათა განმეორებას — ყოველი მათგანი უდავოდ ყურადსაღებია: ჩვენს რესპუბლიკას აუცილებლად სჭირდება სპელეოლოგ მეცნიერთა და სპორტსმენთა კადრების გამზრდა. ამაზე თავიანთ კომპეტენტურ აზრს, ალბათ, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისა და სპორტკომიტეტის მესვეურები მოგვაწვდიან.

რედაქციისადმი ჩემი წერილის მიზანი კი ის გახლავთ, რომ გამბოთ იმათზე, ვინც დიდი ენთუზიაზმითა და თავდადებით ცდილობს ხელი შეუწყოს ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მღვიმეთა შესწავლასა და ათვისებას. ამას ჩემს სამსახურებრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობად ვთვლი, როგორც აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის აღზრდილი, სადაც ახალგაზრდობის წლები მართმოყვარე, მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა გარემოცვაში გავატარე.

ამასთანავე საზოგადოებრიობის ყურადღება მინდა ერთ აქტუალურ, მაგრამ სადავო საკითხს მივაქციო.

ქართველ სპელეოლოგებთან ერთად აფხაზეთის მღვიმეთა შესწავლის პიონერები იყვნენ გეოგრაფიის მეცნიერების კანდიდატი ევგენი მილიანოვსკი, ზურაბ აძინბა, ვლადიმერ იუშინი, გივი სმირი. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღმოაჩინა ახალი ათონის განთქმული მღვიმე და ექტიური მონაწილეობა მიიღო მის შესწავლაში.

ვიანორ ფაჩულიამ და ზურაბ აძინბამ პროფესორებთან — ლევან მარუაშვილთან და ზურაბ ტინტილოზოვთან, მწერალ ლევან გოთუასთან, მეცნიერ სპელეოლოგებთან — კოტე ჯავრიშვილთან და თამაზ კიკნაძესთან ერთად ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს აფხაზური სპელეოლოგიას.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვიანორ ფაჩულია მრავალი სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომის ავტორია აფხაზეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, მათ შორის აფხაზური სპელეოლოგიის საკითხებზე. იგი ახალი ათონის მღვიმის კეთილმოწყობისა და მისი ხალხის სამსახურში ჩაყენების იდეის დაუღალავი პროპაგანდისტი გახლავთ. სხვათა შორის, მისი თაოსნობით და აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში პირველი ტურიზმის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. ამ ლაბორატორიის ყოფილი მუშაკი, ამჟამად სოხუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერი თანამშრომელი ზურაბ აძინბა აფხაზეთის ტურიზმის ფედერაციას სპელეოლოგიური სექციის თავმჯდომარე და აფხაზეთის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს პრეზიდიუმის წევრია. მასთან ერთად აფხაზეთის მღვიმეების კვლევაში აქტიურად მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ აფხაზეთის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ტურიზმის პირველთანრიგოსანი რობერტ ლაბახუა, სოხუმის ტურისტული კლუბის გამგეობის თავმჯდომარე, ასევე პირველთანრიგოსანი ბორის ზაურუმოვი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ნიკოლოზ მიქაშავიძე, ახალი ათონის მეცენატრუსეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ანატოლი ჩაბალურხვა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი კუკური მგელაძე, ახალი ათონის ტურბაზის უფროსი ინსტრუქტორი ვიაჩესლავ ბაზბა და სხვები.

აფხაზეთში მღვიმეთა შესწავლა-ათვისებაში აქტიურად მონაწილეობენ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები. მიმდინარე წელს ბზიფისა და არაბიკის მღვიმეთა მასივების შესწავლასას სპელეოლოგებს უანგაროდ ეხმარებოდნენ დურიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ივანე ტარკილი, მისი მოადგილე ფრანც ლაკერბა, გაგრის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სედრაკ უსტიანი და სხვები.

აბრსკილის გამოქვაბულის კეთილმოწყობის საკითხი ოტაპელმა აქტივისტებმა დააყენეს და მის დადებითად გადაწყვეტას უნდა ეუმადლოდეთ პენსიონერებს, ოტაპის სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ჯუდლი ადლეიბას, კოლმეურნეობის ყოფილ ბრიგადირს ანდრია ადლეიბას, მის ვაჟს, ოტაპის რვაწლიანი სკოლის დირექტორს, სასოფლო საბჭოს დეპუტატს, ტურიზმის ენთუზიასტს, პირველი საცხენოსნო ტურისტული მარშრუტის ამაგდარს ენვერ ადლეიბას, ფსხუს სკოლა-ინტერნატის დირექტორს სიმონ ადლეიბას და სხვ.

ახალი ათონის მღვიმის კომპლექსი კადრების დოსტატების სკოლად იქცა. მღვიმის დირექტორი, კომუნისტი ვალერი ვოუბა მშენებლობის დაწყების დღიდან საოთავეში ედგა ბუნების ამ უნიკალური ძეგლის ათვისებას. სხვებთან ერთად მას სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. გატაცებით მუშაობენ მღვიმის მთავარი ინჟინერი ზურაბ ღარცკია, მთავარი ენერგეტიკოსი ვლადიმერ გუშბა, ექსკურსიამძღოლები ნონა ავიძბა, ლუდმილა ტარბა, ანატოლი მაკეევი, ნიკოლოზ შამბა, უფროსი მეთოდისტი ემმა ლაკრბა.

უთუოდ გასახსენებელია ის, რომ ათონის მღვიმის მშენებლობისა და კეთილმოწყობის მთელ პერიოდში მშენებლებს ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში საგანგებოდ შექმნილი შტაბი.

აფხაზ სპელეოლოგთა აღიარების დამადასტურებელია, რომ გივი სმირი (ამჟამად ახალი ათონის ტურბაზის ინსტრუქტორი) 1967 წელს მონაწილეობდა პოლონეთში მოწყობილ გაერთიანებულ სპელეოლოგიურ ექსპედიციაში, მის გარდა კიდევ 15 აფხაზმა სპელეოლოგმა იმოგზაურა იუგოსლავიაში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მღვიმეების ექსპლოატაციის გამოცდილების შესაძენად.

ოღონდ გული არ უნდა დავიმშვიდოთ და პერსპექტივა არ დავკარგოთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის დადგენილებაში „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ აღნიშნული იყო, რომ „დღევანდელობის მოთხოვნებს ჯერ კიდევ ჩამორჩება კარსტული მღვიმეების კეთილმოწყობა და ათვისება“. ეს სრულიად სამართლიანი საყვედური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ სახელმძღვანელო მითითებად უნდა მივიღოთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქმისადმი ვიწრო უწყობრივ დამოკიდებულებას არავითარი გამართლება არა აქვს. მაგალითად, კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს მიჩნია, რომ: „რესპუბლიკური ტურისტული საბჭოს ახრი იმის შესახებ, რომ აბრსკილის მღვიმე გადაეცეს საკავშირო პროფსაბჭოს, არ არის მიზანშეწონილი. ვფიქრობთ, რომ მღვიმის კეთილმოწყობა რესპუბლიკამ უნდა ითავოს და მისი ექსპლოატაცია შემდგომში მისივე გამგებლობაში უნდა დარჩეს“.

ამაზე რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გასცა პასუხი: „აბრსკილის კეთილმოწყობისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებები „კულტურის“ გრაფას განეკუთვნება, ამ გრაფით კი რესპუბლიკას მომდინარე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებები მეტად შეზღუდული მოცულობით აქვს გამოყოფილი... შესაძლებლობა არც მომავალ ხუთწლედში იქნება“.

ისმება კითხვა: განა ცუდი საქმე გაკეთა საკავშირო პროფსაბჭომ, რომ კეთილმოაწყო ახალი ათონის მღვიმე?

მნახველს პირველ რიგში მღვიმის დათვალიერება აინტერესებს და არა შემკვეთის ვინაობა. რაც შეეხება მღვიმის ექსპლოატაციით მიღებულ შემოსავალს, იგი რესპუბლიკის ტურისტული ბაზის განვითარების საქმეს ხმარდება. მთავარია აშენდეს ობიექტი. ობიექტს კი ააშენებს ის, ვისაც ამის საშუალება აქვს.

ახლახან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა კავკასიის მღვიმეების შესწავლისა და გამოყენების საკოორდინაციო კომიტეტი (თავმჯდომარე თ. კიკნაძე), რომელიც ამუშავებს მღვიმეთა შესწავლის ხუთწლიან გეგმას. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული კომიტეტი საათნადო დახმარებას გაგვიწევს და მოგვაწვდის რეკომენდაციებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მღვიმეთა ხალხის სამსახურში ჩასაყენებლად.

გ. ჯოხთაბერიძე,
საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მთას დაუბრუნდა მთიელი

ქართული სოფლის ეპოპეა

ბაკურაძემ ორივე ფანჯარა გამოაღო, რომ კარგად გამოჩენილიყო და, ქუშად უთხრა:

— ამოდი მაღლა, ჩაიბარე თოფი, ვაზნები და მთელი წლის ჯამაგირი. მერე კი — ტყეში! დღეიდან შენი ლანდი არ დავინახო ამ არემარეზე!

რა მართალი გამოდგა კოსტა ვარამაშვილი! ღვთის რისხვად მოევლინა ცოგი ცისკარიშვილი ახლო-მახლო სოფლებს. ყველაზე მეტად ორბეთელი დურგლები და ხეზე კვეთის ოსტატები დააღონა ახალმა მეტყევემ. მამალი ჭოტის თვალი და ყური ჰქონდა ცოგის. ვერც ბნელი ღამე და ვერც მივარდნილი ტყე-ღრე მისგან ვერ დაგიფარავდა. ერთი ნაჯახის შემოკვრა და... იგი უკვე შენსკენ მოიჩქაროდა.

მთელი ზაფხული ისე გავიდა, ერთი ხნიერი რცხილა და წიფელი ვერ წამოაქციეს თომა ჯაფარიძემ და მისმა ბიძაშვილებმა. მხოლოდ ერთხელ იყო, ნაჯახის ხმა გამოაპარეს მეტყევეს, ვეება მორი ნაჭერ-ნაჭერ დახერხეს, მარხილზე დაუდეს, ზემოდან ფიჩხი წაყარეს და ტყიდან გამოიტანეს.

— სიზმარში გვნახა თუ რა მოხდა, აქ საიდან გაჩნდა!— გაიფიქრა დაზაფრულმა ბეღოიძემ, როდესაც თვალი მოატანა ტყისპირას მოლზე წამოწოლილ ცოგის. ღრუბელაც იქვე ბალახობდა.

— ჩვენ გვიცდი? — მწარედ გაეცინა გულმოკლულ მეურმეს.

— ტყეილს ვერ გეტყვი. ნამდვილად თქვენ გიცდით!

— ეს ერთი გვაპატიე, ცოგი! ჩემმა ბიძაშვილმა რძალი მოიყვანა. ტახტი უნდა გავუკეთო. — დაეღრიჯა ბეღოიძე.

— რაც არ შეიძლება, არ შეიძლება, გორგავ! გადმოცალე ახლავე!

— ფული აიღე, კაცო! გინდა ჭედილას მოგიყვან?

— ერთხელ უკვე მიყიდეს, გორგავ, მეორედ აღარ ვიყიდები!

— ძალიან იაფად გაიყიდე, ბიჭო! თავი არ გენანება?!

უზომო ტკივილმა პირისახე დაუგრიხა ჭაბუკ მეტყევეს.

— ხმა ჩაიწყვიტე, გორგავ! ნაქურდალი დააგდე და შენს გზას მიხედე!

ბეღოიძემ და მისმა ბიძაშვილებმა ფიჩხი მიშალ-მოშალეს და წიფლის ნაჭრები მიწაზე გადმოჰყარეს.

არც საბედო. არც ვარდიკო. ცოგის ღალატმა ყველაზე მეტად მისი უმცროსი ძმა ბერდია გაამწარა. სახელოსნოს მასალა შემოაკლდა. ხუთი-ექვსი შეგირდი უკვე დაითხოვეს. თომა ჯაფარიძე თავის ჭკუაზე აღარ იყო. ნანატრი ურთხმელა უკვე იპოვნეს, მაგრამ მოჭრა და გამოტანა არ გინდა?!

სასოწარკვეთილი ოსტატი ოხრავდა და თავში ხელებს იცემდა. ეპისკოპოსმა ორჯერ გამოუგზავნა კაცი, პირობაზე როგორა ხარო...

რაღა როგორ იყო! ბაკურაძის მეტყევემ ასი თვალი და ასი ყური გამოისახა, კოსტა ვარამაშვილი სანატრელი გაგვიხდა...

მხოლოდ ბერდია არ ჰკარგავდა იმედს. ჩვენ თუ არ გაგვიგონა, ვარდიკოს შევახვეწებ და იმ ურთხმელას მაინც მოგვაჭრევინებსო.

ალატოვანის თოვლიან სერებზე კი გათენებიდან შებინდებამდე გრიალი გაჰქონდა ლაღუმებს. აგანიერებდნენ ღადაღუდა ბილიკებს. მარიამობისთვის დამლევს ალვანის ბანაკიდან საგანგებოდ დარჩეული ტყისმჭრელები ამოვიდნენ, ათნაირი ბირდაბირი და ხელის ხერხი ამოიტანეს. ტყეში უკვე დაიწყეს შუროების გაჭრა და მორების დასაცურებელი მარხილების შეკვრა.

სამთო ინჟინერი ვარდენ ბაკურაძე დიდი თადარიგის კაცი აღმოჩნდა. პირველი ჯერის მორებს ჯერ კიდევ თოვლის მოსვლამდე დააცურებდა.

ბერდიას ბევრი ხვეწნა და მუდარა არ დასჭირვებია. ვარდიკომ გაიგო თუ არა მათი საწუხარი, მხრებზე თავშალი მოიხურა და უხმოდ გაჰყვა ქალჯვარის ტყეში მიმავალ შეგირდებს. ქალი სახედარზე შესვეს, ალესილი ნაჯახები გუდაში ჩააყუდეს, — უცხო თვალს მაინც დაუმალეს, და გზას გაუდგნენ.

შებინდებამდე ერთად იარეს. მერე კი ორად გაიყვნენ. ხისმჭრელი შეგირდები ხევში ჩავიდნენ, ბერდია და ვარდიკო კი ქარაფებში დარჩნენ, ქალჯვარის ბილიკს ყარაულად დაუდგნენ, რომ ბაკურაძის ცოფიანი მეტყევე ანაზდად თავზე არ დადგომოდა ხისმჭრელებს.

აგვისტოს დამლევს მთებში ისეთი ნათელი ღამეები წაეწყობა ერთიმეორეს — თუ გინდა ადექი და შენი ხვედა-საჭრეთელი ეზოში გამოიტანე, ჩუქურთმას ჩუქურთმა მოჰკიდე... დედოფლის ურთხმელა ოთხასი წლისა მაინც იქნებოდა. გათენებამდე კიდეც მოსჭრიდნენ და კიდეც ამოჩეხდნენ.

ცოგი ცისკარიშვილმა უკვე მოათავა ერთი მამულის შემოვლა და ქარაფებს მოატანა. მაღლობა ღმერთს, ამ ზაფხულის დღემაც უჩხუბრად და უშფოთველად ჩაიარა. ახლა კარავში ცოტას წაიძინებს და ისევ ქალჯვარის ბილიკებს დაადგება...

...უეცრად ცხენი შეაჩერა და მდინარის ხმაურს მიაყურა.

მდინარის ხმაურს?!

თუმცა ჯაფარიძეს სწორედ ამ მდინარის იმედი ჰქონდა: მისი ზათქი და შხუილი ნაჯახის ხმას მოგუდავს, ხევიდან მაღლა ვერ ამოატანსო... მაგრამ ცოგის ყურმა მაინც გამოიჭირა ნაჯახის დახშული კაკუნი. ამ ხმას იგი ათას ხმაში გამოარჩევდა.

თოფი მხარზე შეისწორა და ღრუბელას ბეჭის თავზე მუხლი შემოჰკრა.

და იმავ წუთს ბილიკზე გადმომხობილ კლდიდან კაცის ლანდი გამოვარდა, აღვირზე ხელი უტაცა...

— რომელი ხარ?! — დაფეთდა მეტყევე.

— ბერდია ვარ! გამიგონე, ძმაო...

— ფეხებში ნუ მებლანდები, ბიჭო! გზა მომეცი! — შეაწყვეტინა სიტყვა უფროსმა ძმამ.

— ნუ გაგვიწყრები, ცოგი... შენი ჭირიმე! — ცხენს ვარდიკო მოაწყდა, მხედარს მუხლზე ხელი დაადო და სული განაბა.

ცოგიმ იგრძნო, რამდენი ვედრება და მუდარა გამოატანა იმ ხელს ღეკანოზის ქალმა.

— შენ აქ რა გინდა, ვარდო! არ გითხარი, კაცების საქმეში ნუ გაეჩრები მეთქი?

— გეხვეწები, ცოგი... უკან გაბრუნდი! ვითომ არც არაფერი დაგინახავს, არც არაფერი გაგიგონია!

— დამეხსენ, ვარდიკო! შენ მაინც იცი, ამ სატანჯველს თავი რატომ მივეცი! მეყო, რაც ვიმათხოვრე! ბოლოს და ბოლოს ერთი რამ გაიგეთ, მე თუ გინდა, სულ მოვშორდები აქაურობას, წავალ სოფლიდან... ამ ტყეებს უპატრონოდ მაინც არ დაადგებენ! ჩემზე ერთგულ კაცს იპოვნიან, ხეს კი არა, ნამტვრევნალეწს არ გაგატანს ტყიდან!...

— ის ერთი ურთხმელა მოაჭრევინე ჯაფარიძეს! საღვთო საქმეს აკეთებენ, მისი მადლი ჩვენც შეგვეწევა— უთხრა ვარდიკომ და ჩუმად ამოისლუკუნა.

— ამ ხალხის ჭკუაზე სიარული ხელს არ მოგვცემს, ვარდიკო! მე ჩემი გზა მაქვს, თომას — თავისი! შენ კი აქ დამიცადე, დაგბრუნდები და შინ წაგიყვან, — უთხრა ცოგიმ და ღრუბელას შეუძახა...

ცხენი შექანდა, ადგილიდან კი არ დაიძრა. მიხვდა ცოგი, ლაგამ-ავშარას ბერდიას ხელი ჩაფრენოდა...

— მოშორდი, ბიჭო, ხელი გაუშვი აღვირს! მოსჭრიან და საციხედ გაიხდიან საქმეს!— უყვირა ცოგიმ და ულაყს ქუსლი ჰკრა.

ღრუბელა ადგილს მოსწყდა...

ბერდიამ განზე გადგომა ვერ მოასწრო, თუმცა სად იყო მაგოდენა სადარობა! ისინი საცალფეხო ბილიკზე იდგნენ, — ამ მხარეს თვალშეუდგამი ქარაფი, იმ მხარეს — უძირო ხევი...

ულაყმა მკერდი გაჰკრა ცოგის უმცროს ძმას და...

— ბერდია, ძმაო!— იბღავლა ცოგიმ, ცხენიდან გადმოხტა და ხევის პირს გადაემხო.

ხევიდან მხოლოდ მდინარის ყეფა და ნაჯახების მოგუდული ხმა მოდიოდა.

გათენებული არ იყო, თავზარდაცემული სოფელი ხატის გალავანში შეეკრიბა. დეკანოზმა თეთრი დროშა გამოიტანა, ნიშთან მიამიაყუდა და ხელეპი ციხკენ აღაპყრო.

— ხალხო! — ხმა უკანკალებდა, თვალში ცრემლი ედგა. — ამ გზამ უბედურება მოგვიტანა... მარჩენალი ტყე წაგვართვა, სოფელში შუღლი და მტრობა დათესა, ძმას ძმის სისხლი დააღვრევინა! ჩვენ გვეგონა, ახალი გზა ბედნიერებას შეგვყრიდა, მან კი მტერი და დუშმანი მოგვაყენა კარზე.. ამ ურჯულოების ხელში უკვე აღარ გვეცხოვრება! დავტოვოთ აქაურობა, წავიდეთ... იქ დავესახლოთ, სადაც მათი გზა და ბილიკი ვეღარ მოგვაგნებს!..

და როგორც ხალხური გადმოცემა ამბობს, ბერდია ციხკარიშვილი მიწას მიაბარეს და მეორე დღესვე მთელი სოფელი, ოცდაშვიდი კომლი, დედაწულიანად აიშალა, ზოგი ოჯახი უფრო მაღლა წავიდა მთაში, უგზოობაში გადაიკარგა...

გზას გაექცნენ, კართან მოსულ გზას...

ზოგიერთები კი, მეტწილად—ღარიბ-ღატაკნი, ბარში ჩამოსახლდნენ. შირაქის მინდვრებზე მიიფანტ-მოიფანტნენ. ასე გამოეთხოვა მამა-პაპათა საძვალეს ერთი პატარა სოფელი.

ხატის გალავანში სოფლის ყრილობას ცოგი ცისკარიშვილი არ დასწრებია. გაბოროტებულმა, დარდისაგან გაოცებულმა ბიჭმა სასაფლაოდან პირდაპირ ბაკურაძის სამყოფელს მიაშურა.

ჩაფარმა ეზოში არ შეუშვა. — ინჟინერი ფხიზლად იყო. ატყდა ჩხუბი და აყალ-მაყალი. გამხეცებულმა ცოგიმ ხანჯალი გაიძრო და ჩაფარს მკლავზე დაჰკრა. დაჭრილ კაცს მეჯინიბე ბიჭები წამოეშველნენ, ცოგი შეჰკრეს, უნაგირს გადაჰკიდეს და თელავის გზას გაუყენეს. სასამართლომ რვა წლის ციხე მიუსაჯა ბაკურაძის ყოფილ მეტყევეს...

ასე დასრულდა მწუხარე ამბავი თუშის სოფლისა. საბედნიეროდ, ის ძველი ქვეყანაც მალე დასრულდა... და ვინც ოდესღაც გზას გაურბოდა, საშველს უგზოობაში ეძებდა, ახლა ამ გზაზე სამუშაოდ გამოსულა, კლდეებს ებრძვის და აფეთქებს, რომ გზასთან ერთად თვითონაც თავის ნაბუდარში დაბრუნდეს.

მთიელ კაცს სჯერა, რომ არასდროს, ეს ახალი შარაგზა მთას არ მიუყვანს ჩაფარსა და მოიჯარადრეს, მტერსა და მტაცებელს...

და კიდევ.

ამ გზის წყალობით რამდენი ათასი ჰექტარი, ჯერ კიდევ აღუქმელი და გამოუყენებელი ტყე და საძოვარი შეემატა საქართველოს სახალხო მეურნეობას, — ეს უკვე „ჩოთქის“ კაცებმა იანგარიშონ.

დაბოლოს, მაგონდება საქართველოს კომპარტიის XIV პლენუმზე ნათქვამი სიტყვები:

„ავიღოთ, თუნდაც ახალი გზის მშენებლობა მთათუშეთში. ძნელია მოიძებნოს ჩვენი საბჭოთა ცხოვრების წესის, ადამიანზე სახელმწიფოს ზრუნვის პროპაგანდის უკეთესი შესაძლებლობა, ვიდრე იმის აღწერა, თუ რა სიკეთე მოუტანა ამ გზამ მთიელებს. ამ გზის მეოხებით აღორძინდა ცხოვრება ცოტა ხნის წინათ მიყრუებულ სოფლებში. და განა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები — ყოველივე მოწინავის პროპაგანდისტები, რომლებმაც მეოთხედი საუკუნის წინათ ასე მკაფიოდ და საინტერესოდ გაგვაცნეს ისინი, ვინც „მთიდან ჩამოვიდა“, ახლა არ უნდა დაინტერესდნენ იმ ადამიანებით, ვინც „მთას დაუბრუნდა“, გააშუქონ ამ ადამიანების მამაძრავებელი მოტივები, გვიჩვენონ მთიანი მხარის შესაძლებლობანი, წარმოსახონ უდავოდ თავისთავადი და მიზანსწრაფული ხასიათები!“

რა შეიძლება დაემატოს ამ მოლელვარე მოწოდებას?

მხოლოდ ერთი სიტყვა:

ამინ!

პირველი წიგნის დასასრული.

18 აგვისტო, 1980 წელი.

ჯ. ლ.



სოფელ ჭერემის საშუალო სკოლა. ს. კილაძის ფოტო.

მინაწერი

თვრამეტ აგვისტოს წიგნი კი დავამთავრე, მაგრამ მერე გულმა აღარ მომითმინა, პირველ სექტემბერს ისევ ჭერემში ავვარდი, — მინდოდა ჩემი ყურით გამეგონა პირველი ზარის წკრიალი ახლად აშენებულ საშუალო სკოლაში.

სრული ოცდარვა წელიწადი გავიდა იმ დღიდან, ამ ზარის ენა რომ დაადუმეს გომბორის მთებში.

იმ დილას მისი ხმა რომ გავიგონე, მღელვარებამ ერთი-ორი წუთი სული არ მომათქმევინა. იმ ზარმა განა მხოლოდ პირველი გაკვეთილის დაწყება ამცნო სკოლის ეზოში გაფანტულ გოგო-ბიჭებს, — იმ ზარმა შეატყობინა ამერს და იმერს, რომ არასდროს, არასდროს აღარ განმეორდება ამბავი იგი, რაც ერთ დროს გომბორის, რაჭა-ლეჩხუმის, ფშავ-ხევსურეთის მთებში მოხდა...

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 208, 209, 210, 211, 213, 214, 215, 216.

მიუნხენში — ბაზრობაზე

მიუნხენში საერთაშორისო ბაზრობაზე გაემგზავრა საქართველოს ქვების მრეწველობის მუშაკთა ჯგუფი, რომელშიც შედიან დარგის მოწინავე მშრომელები, ყამრეწველო გაერთიანებების „სამტრესტისა“ და „საქართველოს ჩაის“ სპეციალისტები. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ტრადიციულ „იკოფა-80“ ბაზრობაში, სადაც დამოუკიდებელი განყოფილება დაეთმობა რესპუბლიკის ქვების ინდუსტრიის საექსპორტო პროდუქციას.

მიუნხენის ბაზრობა სასურსათო პროდუქტების ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიო დათვალიერებაა, რომელში მონაწილეობასაც ყველა ფირმა დიდ პატივად თვლის. იგი იმართება საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „საკნილიმპორტისა“ და დასავლეთ გერმანიის საგენტო ფირმის „სიმექსის“ ხელშეწყობით.

ქართული პროდუქცია განლაგდება სპეციალურ სტენდებზე და 60 კვადრატულ მეტრზე მეტ ფართობს დაიკავებს. ამას გარდა ზოგიერთი ნაწარმი გაიყიდება პავილიონში „ოქროს საწმისი“.

აქ წარმოდგენილი იქნება ღვინოები და კონიაკები, ჩაი, საკონდიტრო და თამბაქოს ნაწარმი, კონსერვები, მურაბები, ჯემები, ხილის და მინერალური წყლები.

დამთვალიერებლები გაეცნობიან აგრეთვე საქართველოს დეკორატიულ-გამოყენებითს ხელოვნებას.

ამჟამად ქართული სასურსათო პროდუქტები იგზავნება მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში. ალკოჰოლური ნაწარმი ხშირად გაგვიტანია მსგავს ბაზრობებზე და კამოფენებზე.

(საქინფორმი).

საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრობის დღეები

თბილისი საზოგადოებრივობა გულითადად შეეგება სირიის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, არაბეთ-სირია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ალმასკომის წევრი ალი ბადური. დელეგაცია საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრობის დღეებში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც რესპუბლიკაში 19-27 სექტემბერს გაიმართება. საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდად აფასებენ სირიის პოზიციას იმპერიალიზმისა და სიონიზმის ხრიკების წინააღმდეგ, ისრაელის დანაშაულებრივი აგრესიის შედეგების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში. ისინი სოლიდარობას უცხადებენ სირიელი და სხვა არაბი ხალხების ბრძოლას ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის.

საქართველოში ახლანდელი ჩამოსვლა სირიელი სტუმრების სპასუხო ვიზიტია მას შემდეგ, რაც გასული წლის ნოემბერში სირიაში დიდი წარმატებით მოეწყო ქართული კულტურის დღეები, რომლებიც სირიელი და საბჭოთა ხალხების მზარდი მეგობრული და კულტურული კავშირურთიერთობის კიდევ ერთი დადასტურება გახდა.

საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრობის დღეების პროგრამაშია, სალამობები, კონცერტები, გამოფენები, რომლებიც ქართველ მაყურებელს გააცნობენ სირიელი ხალხის ცხოვრებას, მის თავისთავად ხელოვნებას. საქართველოს საზოგარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურულ ურთიერთობის საზოგადოებაში გაიხსნება სირიელი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა, ფოტოგამოფენა, რომელიც მნახველებს გააცნობს ქვეყნის ეკონომიკას, კულტურასა და ღირსშესანიშნაობებს, აგრეთვე ეროვნული კოსტიუმების ეთნოგრაფიული ექსპოზიცია.

თბილისში გაიმართება სირიელი რეჟისორების კინოფილმების ფესტივალი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მასწავლებლებისა და სტუდენტების, რუსთაველ, გორისა და გურჯაანის მცხოვრებთა წინაშე გამოვა დამასკოს მხატვარ ული თვითმოქმედების კოლექტივი.

სტუმრები გეეცნობიან თბილისისა და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობებს, შეხვდებიან რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების საზოგადოებრიობას. ისინი ეწვევიან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთელ რიგ ინსტიტუტებს, უმაღლეს სასწავლებლებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში სირიელი სპეციალისტები წაიკითხავენ ლექციებს თავიანთი ქვეყნის ეკონომიკის შესახებ.

სტუმრები ეწვევიან თბილისის ერთ-ერთ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, სადაც მეორე კლასიდან ასწავლიან არაბულ ენას. (საქინფორმი).

მსმენელები მოხიბლა

ბორჯომი. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საკონცერტო დარბაზში შეკრებილი მშრომელებისა და კურორტის სტუმრების წინაშე ახალი საკონცერტო რეპერტუარით წარსდგა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლამარა ჭყონია.

მსმენელები მოხიბლა მომღერლის მდიდარმა ეოკალურმა მონაცემებმა, საშემსრულებლო მანერამ. მან დიდი ოსტატობით შეასრულა ვერდის, რახმანინოვის, პროკოფიევის, როსინის, ალიაბიევის, თაქთაქიშვილისა და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ლამარა ჭყონიამ საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ბორჯომის საზოგადოებრიობისა და კურორტის სტუმრების წინაშე ახალი საკონცერტო პროგრამით გამოსვლა თავისებური გენერალური რეპეტიციაა კიევსა და მოსკოვში გასტროლების წინ.

ᲘᲓᲔᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ

ᲐᲠᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

FIDE

ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲞᲐᲘᲙᲘᲗ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაფრინდაშვილ-იოსელიანის მატჩის მერვე პარტიაში მეტოქეებმა გაითამაშეს ნიმცოვიჩის დაცვა. გაფრინდაშვილმა მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღო, მაგრამ შემდეგ გამოიყენა შავების უზუსტობა და თანდათან აშკარად უკეთეს პოზიციას მიაღწია. ამასთან იოსელიანი ციაინტოტშიც აღმოჩნდა. თეთრებმა მოიგეს პაიკი.

პარტია გადაიდო. გაფრინდაშვილი ინარჩუნებს მატერიალურ უპირატესობას. დღეს მეტოქეებმა ეს გადადებული პარტია უნდა დაამთავრონ.

ანგარიში კვლავინდებურად გაფრინდაშვილის სასარგებლოდაა — 4:3.

მერვე პარტია
გაფრინდაშვილი — იოსელიანი
ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 ᲛᲔ6 2. c4 e6 3. ᲛᲔ3 b6 4. ᲛᲒ3 ᲙᲑ4 5. ᲙᲒ5 ᲙᲑ7 6. e3 h6 7. ᲙᲰ4 g6 8. ᲙᲒ3 ᲛᲔ4 9. ᲡᲒ2 Კ:Გ3+ 10. bc d6 11. ᲙᲓ3 Მ:g3 12. hg ᲛᲓ7 13. a4 a5 14. ᲙᲔ4 Კ:e4 15. Ლ:e4 ᲛᲔ6 16. ᲡᲒ6+ ᲛᲨᲔ7 17. ᲛᲓ2 ᲚᲓ7 18. ᲚᲑ5 0-0 19 ᲛᲨᲔ2 Ლ:b5 20. cb ᲪᲔ8 21. bc Ს:c6 22. ᲓᲐ3 ᲛᲓ5 23. ᲛᲨᲓ8 ᲥᲰ8 24. ᲛᲑ1 ᲛᲔ6 25. f3 h5 26. e4 g4 27. ᲛᲓ2 gf 28. gf ᲡᲒ8 29. ᲛᲔ1 ᲡᲒ5 30. ᲥᲑ3 ᲡᲒ8 31. ᲥᲰ3 ᲡᲒ5 32. ᲛᲔ3 d5 33. e5 ᲛᲓ7 34. ᲛᲔ1 f6 35. f4 ᲡᲒ7 36. Ქ:h5 fe 37. fe ᲡᲪ4 38. ᲓᲐ3 ᲪᲔ8 39. ᲥᲰ2 ᲡᲒ8 40. ᲛᲨᲔ2 ᲡᲒᲔ7 41. ᲛᲓ2 ᲡᲒ7 42. ᲛᲔ1 ᲡᲒ4 43. ᲥᲑ3 ᲔᲥᲒ3 44. ᲥᲰ3 ᲛᲨᲓ8 45. ᲛᲨᲔ3

აქ იოსელიანმა ჩაიწერა ხვლ.

ბ. ᲑᲐᲛᲐᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲒᲐᲘᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ მეორე ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის 33-ე ტურის შეხვედრები. მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა — ლანჩხუთის „გურიამ“ და ქუთაისის „ტორპედომ“, რომლებმაც კვლავ საკუთარ მოედანზე იასპარეზეს. „გურიამ“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა ნალჩიკის „სპარტაკი“ (ლანჩხუთელთაგან ორივე ბურთი გაიტანა კოპალეიშვილმა, ერთი მათგანი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით), ხოლო „ტორპედომ“ ანგარიშით 2:0 — ორჯონიკიძის „სპარტაკი“ (ქუთაისელთაგან ბურთები გაიტანეს ქვირიამ და სვანაძემ). ამ წარმატების შემდეგ ორივე გუნდმა მკვეთრად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. 36-36 ქულით ახლა „გურია“ და „ტორპედო“ შესაბამისად მე-7-8 ადგილებზე არიან.

გათამაშების ცხრილს სათავეში კვლავ სიმფეროპოლის „ტავრიაჩაუდგა. მან თავის მოედანზე ანგარიშით 4:2 დაამარცხა ერთ-ერთი ყველაზე უახლოესი კონკურენტი — დნეპროპეტროსკის „დნეპრი“. ახლა „ტავრიას“ 44 ქულა და ერთი გამოტოვებული მატჩი აქვს. 43 ქულით მეორე ადგილზეა დუშანბეს „პამირი“, „დნეპრსა“ და ხარკოვის „მეტალისტს“ 42-42 ქულა აქვთ. შეჯიბრების დამთავრებამდე 13 ტურია დარჩენილი.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲡᲐᲯᲐᲠᲐᲨᲣᲢᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ორჯონიკიძეში შემდინარე საკავშირო ჩემპიონატზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, თბილისელმა ნიკოლოზ უშმაევმა დაყოვნებით ტურმაში ოქროს მედალი მოიპოვა ვერცხლის მედალი წილად ხვდა ჩერნიგოველ გ. სუბაბკოს, ბრინჯაოსი — ლვოველ ვ. ვალიოუნასს. ქალთა შორის ამავე სპორტობის შეჯიბრებაზე გაიმარჯვა ვოროშილოვგრადელმა თამარ ლისიუკმა. ჩემპიონატის მონაწილენი მეოცლების კიდევ ორ კომპლექტს გაითამაშებენ.

ᲕᲔᲚᲝᲡᲙᲝᲠᲢᲘ „ტურ დე ლანდერის“ მეცხრე, ერთ-ერთი ყველაზე რთული ეტაპი მოიგო გერმანელ სპორტსმენმა იური ბალერმა. 133 კილომეტრი 3.24.46-ში გაიარა. გამარჯვებულ სამი წამით ჩამორჩა ფრანგი ფრედერიკ ვიშო, ხოლო რვა წამით როსტოველი იური კაშირინი და კუბიშეველი რამაზან გალიულეტდინოვი.

ლიდერის მაისური კვლავ კოლუმბიელ ალფონსო ფლორეზს აცვია. მეორე ადგილზეა ი. კაშირინი.

რედაქტორი
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

□

ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ... ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲔᲠᲗ ჰექტარზე გადაიბიმა სკვერი თბილისის ყველაზე ახალი უბნის — გლდანის რაიონში 167-ე საშუალო სკოლის მახლობლად მდებარე ქერჩის ქუჩაზე. სკვერის ცენტრალურ ნაწილში აღმართულია ქვის ორიგინალური ფორმის ნაგებობა — დედაქალაქის ცხრა რაიონის სიმბოლო.

— რაიონში ხორცეულდება კეთილმოწყობის სპეციალური კომპლექსური პროგრამა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ნიკოლაიშვილმა. — ამ პროგრამით გათვალისწინებულია ქუჩების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. ნერგების დარგვა, საბავშვო და სპორტული მოედნების, გზების მშენებლობა. მარტო წელს მათი მიმდინარე რემონტისა და ასფალტის დაგებისათვის უკვე დაიხარჯა 330 ათასი მანეთი.

მალე დასრულდება კიდევ რამდენიმე სკვერის გაშენება. გლდანის მე-6 მიკრორაიონში მთავრდება საბავშვო კომპლექსის მშენებლობა, რომელსაც ექნება სხვადასხვა სათამაშო და სპორტული მოედნები, აუზი, ესტრადა.

●●

წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ქალაქის წყალმომარაგების მართვის ავტომატიზებული სისტემის პირველი რიგის მონტაჟი და გაწყობა. ხუთი მძლავრი სატუმბი სადგური და ერთი რეზერვუარი უკვე მიერთებულია ამ მართვის ავტომატიზებულ სისტემასთან, რომელსაც ერთი კაცი მართავს. სადისპეტჩეროში დადგმული ალარატურა აცნობებს ყველა ცვლილებას, რომლებიც ხდება ამა თუ იმ მაგისტრალზე.

ღილაკზე თითის დაჭერით შესაძლებელი იქნება სასმელი „მდინარის“ ნაკადის სიმძლავრისა და მიმართულების რეგულირება. ავარიის შემთხვევაში მართვის ავტომატიზებული სისტემა უმალ აცნობებს დაზიანების ადგილსა და ხასიათს. იქ უმალ გაიგზავნება საავარიო ბრიგადა და ორი-სამი დღის ანდა კვირის ნაცვლად, როგორც ახლა ხდება ხოლმე, რამდენიმე საათში ავარიას აღკვეთენ.

სისტემა საშუალებას იძლევა აგრეთვე ეცვალოთ წნევა მაგისტრალებში ვითარების მიხედვით, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფას.

1982 წლისათვის ქალაქის ყველა წყალსატარი მაგისტრალის მართვა ამ სისტემით განხორციელდება.

●●

იქნება ზეგეგმითი „ცოცხალი“

წელიწად — წელიწადნახევრის წინათ არც ერთი მოყვარული მეთევზე არ იფიქრებდა ანკესით ხელში მაღალმთიანი ზრეხის წყალსაცავში ეთევზავა. დღეს კი აქ დაიწყო თეთრი ამურის, თავდიდას, სარკისებრი ბანარის სარეწი ბერა, რომელთა ლიფსტები აქ სულ ახლახან გაუშვეს. საზოგადოება „მონაკვეთრის“ სარეწმა ბრიგადამ თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებს სამი თვის განმავლობაში გეგმით უნდა ჩააბაროს 50 ტონა ცოცხალი თევზი, მაგრამ მებადურებმა ვალდებულება იკისრეს დაიჭირონ 60 ტონა „ცოცხალი“. საზოგადოება „მონკავშირს“ ათზე მეტი წყალსაცავი გადაეცა სატბორე თევზის მეურნეობათა მოსაწყობად, რომელთა პროდუქცია ძალზე მოეწონებათ არა მარტო თბილისის, არამედ რესპუბლიკის სხვა რაიონების თევზის კერძების მოყვარულებს. (საქინფორმი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲖᲝᲜᲘ: ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲓᲦᲔᲡ, 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი თვის 53-ე სეზონს იწყებს.

სეზონის პირველ პრემიერად ნაჩვენები იქნება ბ. ლავრენიევის პიესა „რღვევა“, რომელიც დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. გაწერელიძემ.

შემდეგ კვლავ პრემიერა გვექნება: ახალგაზრდა რეჟისორი ქეთევან ხარშილაძე დგამს ო. ჰენრის ცნობილ ნოველას „წითელყანაფთა ბელადი“.

„წითელყანაფთა ბელადი“ მე-5 კლასელებისათვის არის გამიზნული. ხალისიანი იუმორი, ფანტაზია, მსახიობების თავდაუზოგავი მუშაობა სცენაზე, სპექტაკლს სახალისოს ხდის ჩვენი მოზარდებისათვის.

თეატრმა ახალი სეზონისათვის მესამე პრემიერაც მოამზადა. ეს გახლავთ ა. ხმელიკისა და მ. მატროვის „კოკისპრიოლად ... წვიმდა“, სპექტაკლი დადგა შ. გაწერელიძემ, ხელოვნების „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ თეატრმა მიიღოდნა სკკპ XXVI ყრილობას.

სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის თეატრს ჯადაწყვეტილი აქვს წარმატებით დაამთავროს მეათე ხუთწლედი და ბიგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით 25 დეკემბრისათვის შეასრულოს, ამავე დროს ეკონომიის ხარჯზე ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის ბიგმის გადაწყვეტილებით დადგას ერთი სპექტაკლი — გ. მამლინის „სალუტ დინოზაურებს“.

„გარდა ამისა, განზრახულია გვაქვს მოვიწვიოთ ორი რეჟისორი — მ. კუტუხიძე, რომელიც ამოშავებს ე. შვარცის „თოვლის დედოფლის“ დადგმაზე, და ლ. მირცხულავა თ. ჭილაძის „თავფარავნელი ქაბაკის“ დასადგმელად.

ამ ზაფხულს მსახიობთა ერთი ჯგუფი საგასტროლოდ იყო დასავლეთ საქართველოში და სპექტაკლებს ურჩენენდა სამტრედიის, გეგეჭკორის, აბაშის, წულუკიძის და ცხაკაიას რაიონების მაყურებლებს. უახლოეს ხანში განზრახული გვაქვს რესპუბლიკის მთის რაიონის სოფლების მოსწავლეებს ვუჩვენოთ ჩვენი საუკეთესო სპექტაკლები.

ჩვენი თეატრი მომავალი წლის აპრილში ლატვიის კულტურის საბინისტროსა და რიგის ახალგაზრდული თეატრის მიერ საგასტროლოდ მიწვეულია ქ. რიგაში. საგასტროლო რეპერტუარში იქნება თეატრის 6 საუკეთესო დადგმა და ეს გასტროლები მიეძღვნება საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს.

როგორც ყოველთვის, ამ სეზონშიც სიხარულით ველით ჩვენს მოზარდ მაყურებელთან შეხვედრას.

მ. ᲪᲮᲝᲛᲐᲠᲘᲐ,
მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე.

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲝ, ᲔᲚᲝᲓᲔᲗ „ᲒᲚᲐᲮᲐᲠᲘ“

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ორდენსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი ჯგუფი ბავშვებისთვის იღებს ორსერიიან სატელევიზიო მხატვრულ ფერად ფილმს „ზღაპარი“.

სცენარის ავტორია მ. გელოესანი, დამდგმელი რეჟისორი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. სურმავა, დამდგმელი ოპერატორი — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. ნამგალაშვილი, დამდგმელი მხატვარი — დ. ლურსმანაშვილი, კომპოზიტორი — გ. სიხარულიძე.

მუსიკალურ ფილმს, რომელსაც ტელემაყურებლები წლის დამლევს ნახავენ, აგებულია პოპულარული ქართული ზღაპრების სიუჟეტზე. გადაღებაში მონაწილეობენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, ქორეოგრაფიული სასწავლებლის შემოქმედითი კოლექტივები. მთავარ როლშია თბილისის I საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე გიორგი სიხარულიძე.

პროფესიონალი მსახიობებიდან ფილმში იღებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტებს, ს. ჭიაურელსა და გ. ბერიკაშვილს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტებს გ. ქავთარაძესა და გ. წიტაიშვილს.

✦✦

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ნორჩი მოკინაოვენი ემზადებიან მორიგი დუბლიაჟისთვის; დამდგმელი ოპერატორი ლევან ნამგალაშვილი (მარცხნივ) და მეორე ოპერატორი გურამ საძაგლიშვილი ადადებენ; „ზღაპარს“ იღებენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

Გ. ᲜᲐᲮᲣᲪᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲝᲐᲛᲐᲒᲔ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.) მაღალი მთის სოფელ მუხურის საზოგადოებრიობამ სიყვარულით და პატივისცემით აღნიშნა აქაური პირველი მასწავლებლის ემანუილ გაბრიჭიძის დაბადების მეასე წლისთავი.

საიუბილეო საღამოზე თავი მოიყარეს სახალხო განთლების საქმის მოამაგის პატივისმცემლებმა, გაჯაღარავებულმა ოროვებმა, ნამოწფერებმა, მეზობლებმა. ე. გაბრიჭიძის ცხოვრების (ყალიფული ეპიზოდები გაიხსენეს მისმა თანამოსაქმეებმა და აღზრდილებმა ზ. აბესაძემ, ალ. გაბრიჭიძემ, ლ. გაბრიჭიძემ და სხვებმა. ითქვა, თუ რა უანგაროდ ზრუნავდნენ თანასოფლელებსა და მთელ სოფელზე ემანუილ გაბრიჭიძე და მისი ძმა, რომელიც აგრეთვე პედაგოგი იყო.

აღსანიშნავია, რომ ამ სოფელში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს მასწავლებლობდა და აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის მამა ვასილ ტაბიძე.

ახლა მუხურელი ახალგაზრდა თაობის აღზრდას სოფლელი ერთი საშუალო და ორი 8-წლიანი სკოლა ემსახურება. სამივე სკოლაში ხუთასამდე მოსწავლე სწავლობს. სოფლის პირველი მასწავლებლების ტრადიციას აქ 57 პედაგოგი განაგრძობს.

Თ. ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ.

ᲢᲔᲚᲔᲡᲙᲝᲠᲘ

20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ჩვენს დიად საამბოხლოში — დოკუმენტური ფილმი „ქალი, რომელსაც ელიან“... 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.40 — შვილებო ქართული ენა (ფ.), 11.10 — სოფელ ლესიჭინის თვითმოქმედება (ფ.), 12.05 — მულტიკაციური ფილმები, 12.20 — „თბილისი და თბილისელები“, სატელევიზიო ჟურნალი (ფ.), 12.50 — სატელევიზიო სპექტაკლი „დაგვიანებული ყვავილები“, 14.25 — სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად „ეროვნული ფერები“, 14.40 — გადაცემა „პირისპირ“ (ფ.), 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.45 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 17.45 — „ეარავს იგორ ოისგრაზი“ (ფ.), 18.15 — „ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!“ ასპინძის რაიონი (ფ.), 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.10 — „დიადი წიგნის თავები“. ფილმი მეშვიდე (მ.), 20.05 — „მოამბე“ (ფ.), 20.35 — „თქვენი თხოვნით“. სასეგრადო გადაცემა 21.15 — სსრ კავშირის თასზე — მხატვრული ტანვარჯიში, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ქართული სატელევიზიო მუსიკალური ფილმ-კონცერტი „მღერის გიული ჩოხელი“. პრემიერა (ფ.).

მეორე პროგრამაზე: 22.05 — „ეროვნული“ (ფ.), 22.50 — მხატვრული ფილმი „შეცდომის დაშვება არ შეიძლება“ (ფ.).

ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲘ

20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲓᲐᲨᲕᲠᲐ; **მოზარდ მაყურებელთა ქართული — ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲐ.**

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡ 66434 УЭ 02405 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.